

# ა(ა)იპ “ჩემი ადვოკატი”

”მყავს ოჯახი ყველაზე დაცვაში”

2018 წელი



# წარმოგიდგენთ 2018 წლის ანგარიშს



# წინასიტყვაობა

კიდევ ერთი რთული, საინტერესო და გამოწვევებით სავსე წელი გავიდა. ორგანიზაციამ “ჩემი ადვოკატი” წარამტებით გაართვა თავი ყველა გამოწვევას. ჩვენ ვინარჩუნებთ ღირებულებებს. ჩვენი უმთავრესი ღირებულება ვიყოთ გამჭირვალე, თითოეული მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი. სწორედ ამიტომ, წარმოგიდგენთ 2018 წლის ანგარიშს, რომელიც არ არის მხოლოდ ანგარიში და მიზნად ისახავს კიდევ უფრო ახლოს გაგვიცნოთ, გაიგოთ ჩვენი საქმიანობის შესახებ, გახდეთ ჩვენი მხარამჭერი და გუნდის წევრი, ერთად შევიტანოთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი უკეთესი მომავლის მშენებლობაში.

ჩვენ გვყავს თანამშრომელთა მოტივირებული გუნდი და გაგვაჩნია რწმენა, რომ შევძლებთ ჩვენს წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტას და გამოწვევების დაძლევას.



# მოგესალმებით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ "ჩემი ადვოკატი" წარმატებით ახორციელებს სპორტს – იურიდიული კლინიკა "ჩემი ადვოკატი". ცენტრის თანამშრომლები დაძნეულ იურისტებს აძლევენ შესაძლებლობას შეიძინონ სპეციალური უნარ-ჩვევები, რისთვისაც თბილისის მოსახლეობას აძლევენ ყველაფერუფო მჩვევებს და ახობით ადამიანს უწევენ უფასო სამართლებრივ დახმარებას.

ა(ა)იპ "ჩემი ადვოკატი" სრულად აცნობიერებს ბენეფიციართა ინტერესების დაცვის და მაღალი ხარისხის ყველაფერუფი იურიდიული მომსახურების მიწოდების აუცილებლობას.

ჩვენი ამოცანაა მივაღწიოთ აღსრულებული კანონების უფრულდიუფ ცხოვრებას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და კანონიერების განუხრელად დაცვას. რაც საერთო ევროპული სახლის სრულუფლებიანი წევრობისა და ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული სპორცესების დაჩქარების უმთავრესი პირობაა.

გ. ნეხაძ

ა(ა)იპ “ჩემი ადვოკატის” ძირითადი მისია არის დამწყები იურისტებისთვის პრაქტიკული განათლების მიცემა, პროფესიონალ ადვოკატებად ჩამოყალიბება და ამ მისიის განსახორციელებლად მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის უფასო სამართლებრივი დახმარების გაწევა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სამეწარმეო და ინტელექტუალური სამართლის სფეროებში.

ა(ა)იპ “ჩემი ადვოკატი” ახორციელებს:

- იურდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და სხვა მოხალისეებში, იურისტისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას;
- თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოსახლეობისთვის სამართლებრივი პრობლემების გადაჭრაში დახმარებას;
- ნიჭიერი დამწყები იურისტების დასაქმებაში ხელშეწყობასა და მოხალისეობის განვითარებას;
- მოსახლეობის ინფორმირებას პრობლემურ და მიმდინარე სამართლებრივ საკითხებზე;

# ჩვენი მისია და ხედვა





# ჩვენი ისტორია

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თბილისელების ადვოკატი, 2009 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა. 2015 წელს რეორგანიზაციის შედეგად „თბილისელების ადვოკატი“ ა(ა)იპ-ი “ჩემი ადვოკატი” გახდა, რომლის მთავარ ღირებულებას საზოგადოებაში ადამიანის უფლებების დაცვა და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს იურიდიული



> ა(ა)იპ “ჩემი ადვოკატი” დღეის მდგომარეობით არის ყველაზე დიდი საგანმანათლებლო კლინიკა მთელი ქვეყნის მაშტაბით და ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოსახლეობისთვის უფასო იურდიული დახმარების მიმწოდებელი ორგანიზაცია.

კლინიკა რომლის მთავარი ღირებულებაა საზოგადოებაში სამართლებრივი განათლების დონის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება; იურდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და დამწყები იურისტებისთვის, პრაქტიკული იურიდიული განათლების მიცემა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება, - აღნიშნული მიმართულებები ქვეყნის მაშტაბით პროფესიონალური კადრების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

2015 წელს, ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდგომ და სწორი მენეჯმენტის განხორციელებით, ორგანიზაცია განვითარდა ყველა მიმართულებით. დღეს ორგანიზაციას აქვს 11 მომსახურების ოფისი (ოფისები განთავსებულიაქ. თბილისის ყველ რაიონულ გამგეობაში). “ჩემ ადვოკატს” ყოველწლიურად 260-ზე მეტი დაწყები იურისტი ირჩევს პრაქტიკის გასავლელად. ორგანიზაცია თანამშრომლობს 9 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ორგანიზაციამ ათეულობით ნიჭიერ ახალგაზრდას შეუწყო ხელი დასაქმებაში და ყოველწლიურად 20 000 -ზე მეტ მოქალაქეს უწევს იურდიულ დახმარებას.



### 2015 წლის შემდგომ

სატელეფონო და ონლაინ იურდიული მომსახურების მექანიზმი.



### 2015 წლის შემდგომ

იურდიული დახმარების მიღების მომართველთა ოდენობა 52.7 %-ით გაიზარდა.
წარმატებით დასრულებულ საქმეთა ოდენობა 113.1 %-ით გაიზარდა.



# ორგანიზაციის ადვოკატები

ტრენერ-ადვოკატები ჩვენი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ. სწორედ ადვოკატები ახორციელებენ დამწყები სტუდენტებისთვის პრაქტიკული და თეორიული უნარჩვევების ჩამოყალიბება/ განვითარებას და მათთან ერთად მოქალაქეთათვის კვალიფიციური იურდიული მომსახურების გაწევას.
ორგანიზაციის ტრენერ-ადვოკატებმა, წლების განმავლობაში დაამტკიცეს მაღალი კვალიფიკაცია, რითაც ჩვენი ორგანიზაციის სტუდენტთა და ბენეფიციართა დიდი ნდობით სარგებლობენ. თითოეული ადვოკატი არსებული საქმეებიდან 51%-ზე მეტ საქმეს წარმატებით ასრულებს , რაც ნათლად მიუთითებს, რომ ისინი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მაღალკვალიფიციური კადრები არიან.

ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლებას. წლის განმავლობაში ადვოკატებს უტარდებათ არაერთი ტრენინგი და სემინარი, კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებზე, არსებულ პრობლემურ საკითხებზე, რათა მათ შეძლონ კვალიფიციუარად საქმიანობის გაგრძელება.

# გაიცანით ჩვენი გუნდი



მარინა ბერაძე

დირექტორი




ელიზავეტა მეტრეველი

ადამიანური რესურსები
მართვის სპეციალისტი



ბესარიონ
ალიხანაშვილი

ფინანსური მენეჯერი



მიხეილ თოფურია

პროექტების
კოორდინატორი



ლელა
აბრამიშვილი

ოფის-მენეჯერი



ნინო მარგიანი

ბუღალტერი



გოგა ნაროუშვილი

შესყიდვების
მენეჯერი




დავით ჭაღიაშვილი

ანალიტიკოს-
იურისტი



ვლადიმერ
ქუთათელაძე

ანალიტიკოს-
იურისტი




მერი აღაპიშვილი

ანალიტიკოს-
იურისტი



ეკა სოლოღაშვილი

ტრენერ-ადვოკატი



ნინო ხუციშვილი

ტრენერ-ადვოკატი



დავით მეტრეველი

ტრენერ-ადვოკატი




ლალი ბაგრატიონი

ტრენერ-ადვოკატი




მარიკა მერებაშვილი

ტრენერ-ადვოკატი



მაკა კობიაშვილი

ტრენერ-ადვოკატი




ეკა ყოლბაია

ტრენერ-ადვოკატი



დიანა სარქისოვა

ტრენერ-ადვოკატი




ვასილ კიკვაძე

ტრენერ-ადვოკატი




თეონა გელაშვილი

ტრენერ-ადვოკატი



რუსუდან ჩხიკვიშვილი

ცხელი ხაზის ოპერატორი



ვახტანგ მაჩიტიძე

ცხელი ხაზის ოპერატორი




თამარ დანელია

ადვოკატის თანაშემწე




ქეთი იმნაძე

ადვოკატის თანაშემწე



თამარ მინდილაია

ადვოკატის თანაშემწე



გიორგი ჟორჟოლიანი

ადვოკატის თანაშემწე


# მოქალაქეები ჩვენი გუნდის შესახებ



„ძალიან კმაყოფილი დავრჩი, აღფრთოვანებული ვარ კრწანისის რაიონის ადვოკატების მომსახურებით აქვთ ძალიან დიდი მოსმენის კულტურა, ნეტა ასეთი თანამშრომლები სხვა დარგშიც გვყავდეს“.

იურიდიულ კლინიკას „ ჩემ ადვოკატი“ მოვახსენებ უღრმეს მადლობას ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით - უდიდესი გულისხმიერების, ყურადღების, პროფესიონალიზმის და უმოკლეს ვადებში კვალიფიციური სამსახურის გაწევისათვის.

სავსებით კმაყოფილი ვარ ტერიტორიული თვალსაზრისთაც და კვალიფიციურობის მხრივაც, ყოველ ჯერ სავსებით კმაყოფილი ვრჩები.



„ვისურვებდი ბევრი გყოლოდეთ ასეთი გულისხმიერი იურისტი, როგორიც დათო მაჩიტიძეა“.

# ჩვენი მომსახურება

ორგანიზაციაში იურდიული მომსახურება ეფუძნება მაღალ პროფესიონალიზმს და თითოეული მომართველისთვის განსაკუთრებულ პატივისცემასა და გულისხმიერებას. ორგანიზაცია ცდილობს დამწყები იურისტების ჩართულობით და , უშუალო მონაწილეობით მოქალაქეებს გაუწიოს სრული კვალიფიციური სამართლებრივი დახმარება, სამოქალაქო-ადმინისტრაციული, ინტელექტუალური და სამეწარმეო-საგადასახადო სამართლის მიმართულებით. ჩვენი მომსახურება ფარავს იურდიული დახმარების ყველა კომპონენტს და ხორციელდება მოქალაქეთათვის ყველა ხელმისაწვდომი ფორმით.

სამართლებრივ საკითხებზე უფასო კონსულტაციის გაწევა.

01

წერილობითი სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენაში დახმარება.

02

წარმომადგენლობა სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

03

უფასო ონლაინ და სატელეფონო კონსულტაცია.

04



# დამწყები იურისტები ჩვენთან

“ჩემი ადვოკატი” ახალგაზრდა იურისტების პროფესიული ფორმაციის მიმართულებით წამყვანი ორგანიზაციაა. იგი ორიენტირებულია პროფესიაში მაქსიმალურ ინტეგრაციაზე. ყოველწლიურად თბილისში არსებული ყველა წამყვანი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტების ასობით სტუდენტი ჩვენი ორგანიზაციის კლინიკაში გადის სასწავლო პრაქტიკას და ტრენერ-ადვოკატის ზედამხედველობით სრულად არის ჩართული მოქალაქეთათვის იურიდიული დახმარების გაწევაში. ისინი უშუალოდ ადგენენ დოკუმენტებს და ახორციელებენ სასამართლო წარმომადგენლობას, რაც მათ შეუფასებელ პრაქტიკულ ცოდნას და გამოცდილებას აძლევს.



უკანასკნელი გამოკითხვებით, კლინიკაში პრაქტიკაგავლილი სტუდენტთა 97% - მიიჩნევს, რომ ისწავლა სამართლებრივი პრობლემის სწორად იდენტიფიცირება; 98% - მიიჩნევს, რომ ისწავლა სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა; 95% - მიიჩნევს, რომ შეიძინა სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრისთვის საჭირო უნარები; 96% - მიიჩნევს, რომ შეიძინა სამართლებრივი დასაბუთების უნარები;

94% - მიიჩნევს, რომ ისწავლა სამართლებრივი ბაზის, სასამართლო პრაქტიკის გამოყენება;

78% (139) - მიიჩნევს, რომ განუვითარდა მეცნიერული მიდგომების მოძიებისა და ანალიზის უნარი;

81% (145) - მიიჩნევს, რომ შეიძინა სასამართლოსთან კომუნიკაციის უნარი უშუალო წარმომადგენლობის ან/და დამკვირვებლობის საფუძველზე;


99% (177) - მიიჩნევს, რომ განუვითარდა მოქალაქეებთან კომუნიკაციის/კონსულტირების უნარები

ორგანიზაცია ყოველმხრივ ცდილობს, რომ სახელმწიფოს პროფესიონალი კადრები აღუზარდოს. ნიჭიერი ახალგაზრდები ჩამოაყალიბოს ბაზარზე მოთხოვნად პროფესიონალებად.

# 2018 წლის
# სტატისტიკა


იურიდიული კლინიკის „ჩემი ადვოკატი“ ფუნქციონირების ფარგლებში უფასო იურიდიულ დახმარებაზე ორგანიზაციის ოფისებში მოქალაქეთა მომართვიანობა 2018 წლის განმავლობაში 17 028-ს გაუტოლდა,

მატება იურიდიული დახმარების გაწევის ყველა კომპონენტში ფიქსირდება, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე .




მომართვიანობა სამართლებრივი თემატიკის მიხედვით

2018 წელს შენარჩუნდა წინა წლების ტენდენცია და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე მომმართველთა რიცხვმა საერთო ოდენობის უმრავლესობა - 56% (9594) შეადგინა (წინა წლებში იგივე მაჩვენებელი 55% (2017) და 57% (2016) იყო). იურიდიული მომსახურების სფეროს ორივე მიმართულებით 2018 წელს დაფიქსირებული მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაზრდილია. სამოქალაქო სამართლის საკითხებზე მომართვიანობის 2018 წლის ოდენობამ წინა - 2016 და 2017 წლების მონაცემებს შესაბამისად 4%-ით და 22%-ით, ხოლო ადმინისტრაციული სამართლის კატეგორიაში - შესაბამისად 9%-ით და 19%-ით გადააჭარბა.



# დისტანციური კონსულტაცია

## ცხელი ხაზი

სატელეფონო კონსულტაციებზე მომართვიანობამ 2018 წელს 4 788 შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს (5 121) 6.5%-ით ჩამოუვარდება. წამყვან თემებს ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით არსებული პრობლემები (სამშენებლო, სამართალდარღვევები, უძრავი ქონება) წარმოადგენდა, აქტიური იყო სასარჩელო და სოციალური თემატიკაც. ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებამ სატელეფონო კონსულტაციების 61%, ხოლო კერძო სამართლის მიმართულებამ - 39% მოიცვა.
მთლიანობაში სატელეფონო კონსულტაციები „ჩემი ადვოკატის“ ყველა ტიპის იურიდიული დახმარების საერთო ოდენობის დაახლოებით 22%-ს შეადგენს.







## ონლაინ-კონსულტაციები

„ჩემი ადვოკატის“ ონლაინ საკონტაქტო საშუალებებით (ფეისბუქ-გვერდითა და ელექტრონული ფოსტით) იურიდიული კონსულტაცია გაეწია 89 მომმართველს, რაც მიუხედავად საერთო ოდენობაში მცირე წილისა (0.4%), წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი წინსვლაა (370%-იანი მატება).



# ოფისების მიხედვით სტატისტიკა

იურიდიული მომსახურების გაწევის წლიურ საერთო მაჩვენებელში ოფისების მიხედვით ლიდერობს ისანი, ნაძალადევი, სამგორი და გლდანი. ჯამში ამ 4 ოფისის მიერ გაწეულ იურიდიულ დახმარებათა რიცხვი საერთო ოდენობის 61%-ს შეადგენს. თითოეული ოფისის მიერ შესრულებული სამუშაოს პროცენტული და რიცხობრივი ოდენობა წარმოდგენილია ქვევით.

| N | უბნები | % |
|---|---|---|
| 01 | გლდანი - 2216 კონსულტაცია | 13 |
| 02 | ნაძალადევი - 2409 კონსულტაცია | 14 |
| 03 | დიდუბე - 1205 კონსულტაცია | 7 |
| 04 | ჩუღურეთი - 932 კონსულტაცია | 5.4 |
| 05 | მთაწმინდა - 790 კონსულტაცია | 4.7 |
| 06 | კრწანისი - 838 კონსულტაცია | 5 |
| 07 | ვაკე - 1083 კონსულტაცია | 6.4 |
| 08 | საბურთალო - 1756 კონსულტაცია | 10.3 |
| 09 | ისანი - 3431 კონსულტაცია | 20 |
| 10 | სამგორი - 2368 კონსულტაცია | 14 |
| | სულ | 17028 |





# თემატიკის მიხედვით სტატისტიკა

| თემატიკა | ოდენობა უბნებზე |
|---|---|
| კომუნალური | 270 |
| სახელშეკრულებო | 1 940 |
| სასარჩელო | 1 843 |
| „ატსტუპნიკები“ | 123 |
| საოჯახო | 1 018 |
| სამემკვიდრეო | 456 |
| სააღსრულებო | 420 |
| სოციალური | 2 068 |
| ამხანაგობები | 510 |
| უძრავი ქონება | 1 604 |
| შრომითი ურთიერთობები | 278 |
| სამოქალაქო აქტები | 170 |
| საჯარო რეესტრი | 354 |
| სამეზობლო დავა | 500 |
| საგადასახადო-სამეწარმეო | 100 |
| სამშენებლო ნებართვა | 1 121 |
| ადმინისტრაციული წარმოება | 788 |
| ადმინისტრაციული სამართალდარღვევა | 538 |
| უკანონო მშენებლობა | 803 |
| რეპრესირებული (აღიარება/კომპენსაცია) | 225 |
| უდაო წარმოება | 409 |
| ბინის პრივატიზაცია | 309 |
| ინტელექტუალური სამართალი | 53 |



# სტატუსის მიხედვით სტატისტიკა

2018 წელსაც ორგანიზაციას აქტიურად მომართავდენ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფნი და პენსიონერი მოქალაქეები. აღნიშნული სტატუსის მქონე პირებისთვის სრული იურდიული დახმარების გაწევა, ორგანიზაციისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს.

| N | სტატუსი | ოდენობა |
|---|---|---|
| 01 | იძულებით გადაადგილებული და შშმ პირი | 23 |
| 02 | სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი | 2 579 |
| 03 | პენსიონერი ასაკისა გამო | 3 094 |
| 04 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი | 175 |
| 05 | იძულებით გადაადგილებული პირი | 438 |
| 06 | სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და შშმ პირი | 131 |
| 07 | პენსიონერი ასაკისა გამო და შშმ პირი | 113 |
| 08 | და სხვა | 9 347 |



# წლიური პროცენტული მატება

2018 წელთან შედარებით ორგანიზაციას ყველა კომპონენტში აქვს პროცენტული ზრდა





### ზეპირი კონსულტაცია

ზრდა განპირობებულია, პროექტის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდებით. ოგანიზაციის ბანერები განთავსდა სხვადასხვა, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. ასევე ორგანიზავია აქტიურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა, სატელევიზიო, რადიო, ბეჭდურ და ინტერნეტ გადაცემებში გადაცემებში.





### საპროცესო დოკუმენტი


რდა განპირობებულია ბენეფიციართა, ოდენობით ზრდით, ასევე საზოგადოების ნდობის ამაღლების სასამართლო სისტემის მიმართ.





წარმომადგენლობა




სამოქალაქო სამართლის საქმეები




ადმინისტრაციული სამართლის საქმეები



# განხორციელებული პროექტები

2018 წელს, ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. თითოეული მათგანი უმნიშვნელოვანესი და კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი იყო ორგანიზაციის განვითარებისთვის.



## მოხალისეთა აყვანის ახალი წესი

ორგანიზაციის მიერ შემუშავდა და განხორციელდა მოხალისეთა აყვანის ახალი წესი, რომელიც ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლის თანაბარ შესაძლებლობას აძლევს ყველა დაინტერესებულ დამწყებ იურისტს.




## სტუდენტებთან შეხვედრები

ორგანიზაციის წარმომადგენლები შეხვდნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს და უშუალოდ გააცვნეს ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლის მნიშვნელობაზე.



## ტრენინგები

ორგანიზაციის ადვოკატების მიერ, დამწყები იურისტებისთვის ჩატარებულ იქნა არაერთი ტრენინგი, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.



## უნივერსიტეტები

ორგანიზაციისის მიერ გაფორმებულ იქნა მემორანდუმები თბილისის ღია უნივერსიტეტთან. დღეს მდგომარეობით “ჩემ ადვოკატში” პრაქტიკას 8 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები გადიან.



# ადვოკატი გირჩევთ

“ჩემ ადვოკატს”, მოქალაქეები  ორგანიზაციის შესახებ შეკითხვებით ხშირად მომართავენ სწორედ ამიტომ გამოვკვეთეთ ყველაზე აქტუალური საორგანიზაციო და იურიიდიული საკითხები.

## ვის შეუძლია “ჩემი ადვოკატის” მომსახურების მიღება?

“ჩემ ადვოკატში” უფასო სამართლებრივი კონსულტაციის მირება შეუძლია ნებისმიერ პირს.

## სად შეიძლება “ჩემი ადვოკატის” მომსახურების მიღება?

“ჩემი ადვოკატის” მომსახურების მიღება შესაძლებელია, ქ. თბილისის მერიაში და ყველა რაიონულ გამგეობაში.

**მოქალაქე** აუცილებელია თუ არა მოსარჩელის/მოპასუხის ინტერესებს სასამრთლოში წარმოადგენდეს ადვოკატი?

**ადვოკატი** სასამართლოს პირველ ინსტანციაში პირის ინტერესებს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი, ხოლო სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში წარმომადგენლობა ხორციელდება ადვოკატის მეშვეობით, თუმცა არც ერთ ინსტანციაში პირი ვალდებული არ არის ჰყავდეს ადვოკატი ან წარმომადგენელი (სსსკ 94).

**მოქალაქე** ვალდებულია თუ არა მოპასუხე მხარე კანონით დადგენილ დროში წარადგინოს შესაგებელი ან გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე?

**ადვოკატი** მოპასუხე მხარე ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში წარადგინოს შესაგებელი და გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მის წინააღმდეგ გამოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდება (სსკ 230, 2321).

**მოქალაქე** რამდენია ხანდაზმულობის ვადა სახელშეკრულებო ურთიერთობებში და რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება ხანდაზმულობის ვადის გასვლას?

**ადვოკატი** სახელშეკრულებო მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ მოთხოვნაზე 6 წელს. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ მოვალეს არ აქვს მოთხოვნის შესრულების სამართლებრივი ვალდებულება.

**მოქალაქე** შესაძლოა თუ არა პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცეს იმის გამო, რომ ვერ მოახერხა სასესხო ვალდებულებების შესრულება?

**ადვოკატი** დაუშვებელია პირის სისხლის სამართლებრივი დევნა მის მიერ სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ მის ქმედებაში იკვეთება დანაშაულის (თაღლითობის) ნიშნები. კერძოდ , თუ სესხის აღებისას პირი თავიდანვე არ აპირებდა თანხის დაბრუნებას.



სამართლებრივი პრობლემის არსებობის შემთხვევაში, დაგვიკავშირდით. -“ჩვენ მუდამ თქვენი უფლებების დაცვაში ვართ”.



**მოქალაქე** აქვს თუ არა ოჯახის წევრს ვალდებულება მისი ოჯახის სხვა წევრის ნაცვლად შეასრულოს სასესხო ან სხვა სახის ვალდებულება?

**ადვოკატი** სასესხო ვალდებულებას პირი კისრულობს ინდივიდუალურად, შესაბამისად მის ოჯახის წევრებს მის ნაცვლად არ ეკისრებათ ვალდებულების შესრულება.

**მოქალაქე** როდესაც მეუღლეები იმყოფებიან რელიგიურ ქორწინებაში ან ჰყავთ საერთო შვილები, განქორწინების შემდგომ ექვემდებარება თუ არა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ინდივიდუალური ქონება გაყოფას?

**ადვოკატი** მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება გაყოფას ექვემდებარება მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების არსებობის შემთხვევაში (სსკ 1130).

# წარმატებული საქმე

## საქმე თელასის წინააღმდეგ

2018 წლის 18 იანვარს მოქალაქემ მოგვმართა ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატის“, საბურთალოს რაიონის ოფისში, საკონსულტაციო საკითხით: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების თანახმად, ელექტროენერგიის დავალიანების გადახდა (8635 ლარი), რომელსაც თვითონ მოიხმარდა, ხოლო აბონენტად რეგისტრირებული იყო მისი გარდაცვლილი მეუღლე, დაეკისრა მის სიძეს. აღსანიშნავია, რომ თელასის მხრიდან დავალიანების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. თელასსა და მის სიძეს შორის რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულების გაფორმება მოხდა მოქალაქეს თანხმობისა და ინფორმირების გარეშე. ასევე მისი მონაწილეობის გარეშე ჩატარდა სასამართლო პროცესი და კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო აღსრულება და დააყადაღეს მისი სიძის სახლი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიტყო მოქალაქემ საქმის ვითარება, რის შემდეგაც მოგვმართა კონსულტაციისთვის. მოქალაქეს შევუდგინეთ საპროცესო დოკუმენტი, განცხადება, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოქალაქე, რომლის უფლებებსა და ინტერესებს შეეხებოდა აღნიშნული გადაწყვეტიულება არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ განიხილა აღნიშნული განცხადება გადაწყვეტილების ბათილობასთან დაკავშირებით. მოქალაქეს გავუწიეთ სასამართლო წარმომადგენლობა. ჩვენი პოზიცია გამყარებული იყო შემდეგი გარემოებებით: 1) წლების მანძილზე ელექტროენერგიას მოიხმარდა მოქალაქე; 2) აბონენტად რეგისტრირებული იყო გარდაცვლილი მეუღლე. 3) რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება გაფორმდა არაუფლებამოსილ პირთან, რაც კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

საქმე დასრულდა წარმატებით, ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ხანგრძლივი პროცესების შედეგად მოსამართლემ 2018 წლის 21 ნოემბერს გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის თანახმად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილება მოქალაქეს სიძის მიმართ 8635 ლარის დარიცხვის შესახებ.

## საქმე სილქნეტის წინააღმდეგ

ვაკის რაიონის ოფისს მომართა მოქალაქემ რომელსაც ს.ს „სილქნეტთან“ ქონდა დავა. დავის გარემოებებში ირკვეოდა, რომ მოქალაქის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე განლაგებულ



მუდამ თქვენი უფლებების დაცვაში !



საცხოვრებელი სახლის ოთახსა და სახლის სახურავზე სს“სილქნეტის“ საკაბელო ქსელები გადიოდა. მოქალაქე ითხოვდა საცხოვრებელ სახლზე გამავალი საკაბელო ხაზების დემონტაჟს და ქსელების სხვა მიმართულებით გადატანას.

აღნიშნული სიტუაცია მოქალაქეს პრობლემას უქმნიდან დაესრულებინა მშენებარე სახლი და ესარგებლა თავისი საკუთრებით. მოქალაქემ არაერთხელ მიმართა „სილქნეტს“ საჰაერო ორი ხაზის გადატანის მოტხოვნით, რომელიც ეყრდნობოდა ეზოში არსებულ ხესა და დაუსრულებელი სახლის სახურავს, მაგრამ მისი მოთხოვნა უშედეგო აღმოჩნდა. სილქნეტი საქმის მსვლელობის დროს აპელირებდა რომ „ჩემი ადვოკატი“-ს ბენეფიციარს უკანონოდ ქონდა ნაკვეთზე შენობა-ნაგებობა განთავსებული, ხოლო საქმის დეტალური გამოკვლევის შემდგომ ცნობილი გახდა, რომ 2015წელს მერიის ზედამხედველობის სამსახურმა სს. „სილქნეტი“ 4000 ლარით ხაზოვანი ნაგებობების უკანონო განთავსებისათვის დააჯრიმა. „ჩემი ადვოკატი“-ს ვაკის რაიონის ოფისის მიერ წარდგენილ სარჩელში სადავო ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული იყო რომ სადავო ხაზები დადებულია მოქალაქის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე, ბინის სახურავსა და ბინის შიგნით. სარჩელში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით სასამართლომ ორგანიზაციის ბენეფიციარის მოთხოვნები საფუძვლიანად მიიჩნია და სარჩელი მოქალაქის სასარგებლოდ დაკმაყოფილდა. კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების შეზღუდვა მხოლოდ კანონით არის შესაძლებელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მესაკუთრეს შეუძლია, კანონის მიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით.წ



# სალომე ბერიკაშვილი

სტუდენტი ნაძალადევი რაიონის ოფისში

„ჩემი ადვოკატი“-ს შესახებ ინფორმაცია მივიღე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან. თქვენს ორგანიზაციაში გავიარე პროფესიული პრაქტიკა და შემდგომ გავაგრძელე სტაჟირება.

- „ჩემი ადვოკატი“ არის პროფესიონალებით დაკომპლექტებული ორგანიზაცია, სადაც მივიღე დიდი გამოცდილება. ჩემთვის „ჩემი ადვოკატი“ არის ადგილი სადაც შეგიძლია ისწავლო დამოუკიდებლად მუშაობა, საქმის სწორად წარმართვა, პასუხისმგებლობა და ის ყოველივე რაც სჭირდება ღირსეულ ადვოკატს.

- ყოველი სიახლე სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ჩემი ტრენერ-ადვოკატი ეტაპობრივად გვაჩვევდა ყველა სირთულეს, რაც დამეხმარა მარტივად გადამელახა ეს ყოველივე. ვისწავლე ეფექტური და ხარისხიანი მუშაობა.

- „ჩემი ადვოკატი“ არის ორგანიზაცია, რომელიც არ გავს სხვა ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაციაში მოსული ყველა ბენეფიციარის პრობლემა აღიქმება ჩვენ საკუთარ პრობლემად, რომლის აღმოსაფხვრელათდარცერთი თანამშრომელი ძალღონეს არ იშურებს.

- ყველა სტუდენტს ვურჩევდი, რომ აუცილებლად მოვიდეს პრაქტიკის გასავლელად „ჩემ ადვოკატში“, თუ სურთ ისწავლონ დამოუკიდებლობა, საქმის სწორად მართვა და პასუხისმგებლობა.



# ვაჟა დათუაშვილი

სტუდენტი ისნის რაიონის ოფისში

ორგანიზაცია „ჩემი ადვოკატში“ მოვხვდი საუნივერსიტეტო კლინიკის ფარგლებში. ჩემთვის „ჩემი ადვოკატი“ არის პროგრამა, რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვან და კეთილგონიერ სოციალურ სამსახურსს მოქალაქეებისთვის. აგრეთვე, პრაქტიკანტი იურისტებისთვის მოსახერხებელი საშუალება სამუშო გამოცდილების დაგროვების თვალსაზრისით. ასევე შიდა კანონმდებლობის გაცნობის პრაგმატული შესაძლებლობა.

როგორც იურისტს ეს პროგრამა დამეხმარა სამართლებრივი მსჯელობის გამართულად ჩამოყალიბების უნარების დახვეწაში, ასევე სხვადასხვა სამართლებრივი პროცედურების საფუძვლიანად გაცნობაში. აგრეთვე აღვნიშნავდი, რომ გავიცანი მიზანდასახული და საღად მოაზროვნე კოლეგები.

აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებულია მის მიერ მოცული სამართლებრივი პრობლემების მრავალფეროვნებით. აგრეთვე იმ პერსონალით, რომელიც გამოირჩევა საკუთარი გულისხმიერებითა და პროფესიონალიზმით.

დღე, როდესაც ერთ-ერთ საკითხზე დავამუშავე სამართლებრივი დოკუმენტი. ამ საკითხზე მუშობისას გავითავისე იმ მსხვერპლთა ემოციური მდგომარეობა და უსამართლობის შეგრძნება, რომელსაც ისინი წლებია განიცდიან.

მომავალ სტუდენტებს ვურჩევ მაქსიმალურად იმუშაონ საკუთარი თავის განვითარების კუთხით, იყონ თვითკრიტიკულები და გამოიყენონ პრაგმატულად ის დრო, რასაც ამ ორგანიზაციაში კლინიკის ფარგლებში გაატარებენ.



# ჩართულობა

ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემებისა და პრობლემების მოგვარების გზების ძიებაში. წლის განმავლობაში, პარტნიორებთან ერთად, “ჩემი ადვოკატის” ორგანიზებით მოეწყო არაერთი შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფარგლებში, რომლებზეც მოსახლეობის აქტიურ წევრებსა  და აქტივისტებთან ერთად მიმდინარეობდა მსჯელობა არსებულ პრობლემებსა და მათ მოგვარების გზებზე.

“ჩემი ადვოკატი” მომავალშიც აქტიურად აპირებს მოსახლეობასთან შეხვედრას სხვადასხვა ფორმატში, რათა ზუსტად მოხდეს საზოგადოებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების იდენტიფიცირება.

ორგანიზაციის მიზანია გარკვეულწილად გახდეს დამაკავშირებელი ხიდი მოსახლეობასა და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შორის.



# აქტივობა

”ჩემი ადვოკატი” აქტიურად უერთდება ყველა აქტივობას, რომელიც მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და უფლებების დაცვისკენ.
“ჩემი ადვოკატის” თანამშრომლებმა, პირადი ხარჯებით, მიუსაფარი ძაღლებისათვის შეიძინეს ხის სახლები, რომლებზეც დატანილ იქნა ცხოველთა მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელი და ზომები. აღნიშნული მიზნად ისახავს ცხოველთა მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციას და საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას.

მოსახლეობის თითოეულმა წევრმა უნდა გააცნობიეროს, რომ ცხოველებსაც აქვთ უფლებები და ამ უფლებების შელახვის გამო მათ დაეკისრებათ სათანადო სასჯელი.

# ძაღლებსაც აქვთ უფლებები




# დაგეგმილი ღონისძიებები

2019 წელს, ორგანიზაცია გეგმავს კიდევ უფრო განვითარებას. დამწყები იურისტებისთვის მეტი ცოდნისა და შესაძლებლობების მიცემას.

- ნიჭიერ პრაქტიკანტთა და მოხალისეთა დასაქმების ხელშეწყობა.
- რაიონებში გასვლითი ღონისძიებების განხორციელება.
- სატელევიზიო გადაცემათა ციკლის მომზადება და განხორციელება.
- მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.


























# ჩვენი პარტნიორები



იუჩიდიუღი დახმარების სამსახური



საქპატენტი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი










განსაკუთრებული მადლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მერს ბატონ კახა კალაძეს პროექტის მხარდაჭერისთვის



# კონტაქტი


მიცკევიჩის 29/29ა

(032) 2 37 82 64

Mylawyer@gmail.com
www.myl.ge